საექსპერტო შეფასება

ობიექტი:

ქ.თბილისი,ივანე გვარამაძის N8-ის მიმდებარედ

ოთხსართულიანი ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი

2026 წ.

საექსპერტო შეფასება

ორბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა "ტექნუკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

ობიექტის მისამართი:ქ,თბილისი,ივანე გვარამაძის N8-ის მიმდებარედ
ს/კ 01.10.18.010.070

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: ავთანდილ გურული

წარმოდგენილი მასალა: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება, „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ" საქართველოს მთავრობს 2019 წლის 3 ივნისის N261 დადგენილება, საქართველოს მთავრობს 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე “შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებისთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა,მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

4.არქიტექტურულ პროექტში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება,რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან,შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

5.ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში,ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

6.დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

1. ტერმინებიდაგანმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.

2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

გამოსაკვლევი ნაწილები:

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით 13-ე მუხლით (მუხლი 13 „არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა“) განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილის შეფასებას, ტექნიკურ-რეგლამენტთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255-ე დადგენილების 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტის მიხედვით.

წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა დადაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

გამოკვლევა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში,ივანე გვარამაძის N8-ის მიმდებარედ. მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.10.18.010.070 საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 343 კვ.მ. ნაკვეთს ჩრდილოეთ,აღმოსავლეთ და დასავლეთ მხრიდან ესაზღვრება კერძო მიწის ნაკვეთები,ხოლო სამხრეთ მხრიდან გზა. მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

-3.90 ნიშნულზე : ავტოსადგომი, მარანი, კიბის უჯრედი
0.00 ნიშნულზე: სამზარეულო,სასტუმრო ოთახი,სასადილო ოთახ, სან-კვანძი (WC),კიბის უჯრედი
+3.20 ნიშნულზე:კაბინეტი,სან-კვანძი (WC),კიბის უჯრედი, საძინებელი,ვერანდა
+6.40 ნიშნულზე:დერეფანი , საერთო ოთახი,სან-კვანძი (WC),კიბის უჯრედი, საძინებელი,ვერანდა

სახურავის გადახურვის მასალად გამოყენებულია ბრტყელი რკინა-ბეტონის გადახურვა და ატმოსფერული ნალექები ჩამოედინება მესაკუთრის ტერიტორიაზე. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

საპროექტო შენობის დაკავებულობა კლასიფიცირდება მესამე თავის მიხედვით და მოიცავს 2(ორ) დაკავებულობის ჯგუფს, ეს არის:

- საცხოვრებელი ქვეჯგუფი სც-3 (შენობები, რომლებიც არ შეიცავს ერთზე მეტ საცხოვრებელ ერთეულს)

310.5 ქვეთავის მიხედვით.

პროექტი დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი წესებისა და ნორმების დაცვით.

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დაკავებულობების კლასიფიცირებას მე-3 თავის მიხედვით და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომლებიც შეესაბამება 310-ე და 311-ე ქვეთავს.

ქვემოთ ჩამოთვლილია დაკავებულობები, რომლებიც გამოყენებულია პროექტში:

1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (მცირე საფრთხის შემცვლელი სასაწყობო ქვეჯგუფი(ავტოსადგომი, მარანი) -3.90 ნიშნული
2. საცხოვრებელი ჯგუფი სც-3 (ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის განკუთვნილი დაკავებული სივრცე). კიბის უჯრედი. -3.90 ნიშნული)
3. საცხოვრებელი ჯგუფი სც-3(ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის განკუთვნილი დაკავებული სივრცე).(საერთო ოთახი,კორიდორი,ტერასა, სველი წერტილი,სასადილო ოთახი. 0.00 ნიშნული)
4. საცხოვრებელი ჯგუფი სც-3 (ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის განკუთვნილი დაკავებული სივრცე).(სასტუმრო ოთახი,სამზარეულო,დერეფანი,საძილე ოთახი,სან.კვანძი (WC), კიბის უჯრედი ,ვერანდა. +3.20 ნიშნული)
5. საცხოვრებელი ჯგუფი სც-3 (ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის განკუთვნილი დაკავებული სივრცე).(დერეფანი,საძილე ოთახი,სან.კვანძი (WC), კიბის უჯრედი +6.40 ნიშნული)

ყოველი ზემოხსენებული სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 310.5 და 311 ქვეთავის მოთხოვნას.

რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას, დაკავებულობის დატვირთვის ნაწილშიც საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს კერძოდ:

სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (მცირე საფრთხის შემცვლელი სასაწყობო ქვეჯგუფი(ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის განკუთვნილი ავტოსადგომი -3.90 ნიშნული) შემდგომ მათი ჯამური ფართობი გაყოფილია 18,6 -ზე; დაკავებულობის დატვირთვის ჯამი შეადგენს 7
საცხოვრებელი ჯგუფი სც-3(ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელისახლისთვის განკუთვნილი დაკავებული სივრცე).(კიბის უჯრედი) -3.90ნიშნული) შემდგომ მათი ჯამური ფართობი გაყოფილია 18,6 -ზე; დაკავებულობის დატვირთვის ჯამი შეადგენს 1

საცხოვრებელი ჯგუფი სც-3(ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელისახლისთვის განკუთვნილი დაკავებული სივრცე).(საერთო ოთახი,კორიდორი,ტერასა, სველი წერტილი,სასადილო ოთახი. 0.00 ნიშნული) შემდგომ მათი ჯამური ფართობი გაყოფილია 18,6 -ზე; დაკავებულობის დატვირთვის ჯამი შეადგენს 9
საცხოვრებელი ჯგუფი სც-3(ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელისახლისთვის განკუთვნილი დაკავებული სივრცე).(სასტუმრო ოთახი,სამზარეულო,დერეფანი,საძილე ოთახი,სან.კვანძი (WC), კიბის უჯრედი ,ვერანდა. +3.20 ნიშნული) შემდგომ მათი ჯამური ფართობი გაყოფილია 18,6 -ზე; დაკავებულობის დატვირთვის ჯამი შეადგენს 9
საცხოვრებელი ჯგუფი სც-3(ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელისახლისთვის განკუთვნილი დაკავებული სივრცე).(დერეფანი,საძილე ოთახი,სან.კვანძი (WC), კიბის უჯრედი +6.40 ნიშნული) შემდგომ მათი ჯამური ფართობი გაყოფილია 18,6 -ზე; დაკავებულობის დატვირთვის ჯამი შეადგენს 9

ყოველი ზემოხსენებულ შენობაში არსებული სივრცის თითოეული დაკავებულობისთვის, სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს 1004 ქვეთავის 1004,1.2 ცხრილის მოთხოვნებს.

დაკავებულობის დატვირთვა დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

პროექტის ავტორების მიერ საპროექტო შენობებისათვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი წარმოადგენს II -B ტიპს. შერჩეულია შენობების დაკავებულობის, სიმაღლის, სართულიანობისა და ფართობის გათვალისწინებით და აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).

გ)სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპებთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.შენობების სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია სწორად და არის 11.20 მ. (შენობა-ნაგებობის გადახურვის ფილის ჩათვლით, სიმაღლე, ±0.00 ნიშნულიდან)

- იქიდან გამომდინარე რომ, შენობა აკმაყოფილებს II -B კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, 503-ე ცხრილის მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე არის 16.80 მეტრი.
- ვინაიდან შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23მ-ზე მაღლა, „წესების“ განმარტების მიხედვით შენობები არ არის მაღლივი.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

- გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გსასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
- წესების მე-10 თავის 1021. 2 ქვეთავის მე-2 პუნქტის გამონაკლისის თანახმად დასაშვები, რომ ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი, პროექტით გათვალისწინებული არის მოთხოვნილზე მეტი. გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძლი დაანგარიშებულია სწორად გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის (-3,90, 0.00, +3.20, +6.40 ნიშნულებზე) გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასასვლელი გრძელდება 1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან, რომელიც ითვალისწინებს დაუბრკოლებლად უზრუნველყოფას შენობიდან გამოსასვლელით საზოგადოებრივ სივრცეში.

ე)გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- შენობის გზა-კიბეების სიგანე არის 0,90 მ-ზე მეტი, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ, მოწყობილია მოაჯირი, რაც აკმაყოფილებს 1013.3 გამონაკლისის მოთხოვნებს, ხოლო კედლის მხარეს 1009.15 ქვეთავის მეორე პუნქტის გამონაკლისის თანახმად სახელურების მოწყობის აუცილებლობას არ საჭიროებს.
- სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;
- სხვა გასასვლელი საშუალებებიც სწორად არის დაგეგმარებული, კერძოდ:

ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

რაც შეეხება დანარჩენ კარის ღიობებს, რომლებიც აუცილებელი გასასვლელი საშუალების ნაწილი არ არის 1008.1 .1 ქვეთავის პირველი პუნქტის გამონაკლისის თანახმად სც-3 ჯგუფის დაკავებულობებში ასეთი მოთხოვნა არ ეხება. ყველა კარის მინიმალური და მაქსიმალური სიგანე არის გათვალისწინებული. შესაბამისად ყველა კარის ზომა და რაოდენობა, პროექტში დეტალურად არის წარმოდგენილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

- პროექტით არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისაწვდომი საშუალებების დაგეგმარება და მშენებლობა. 1103.2.4 ქვეთავის მიხედვით - ერთი ან ორი ოჯახის ცალკე მდგომი საცხოვრებელი და მათი დამხმარე ნაგებობები, ასევე მათთან დაკავშირებული ადგილები და საშუალებები, არ საჭიროებს მისაწვდომობას.

გამოყენებულია №41 დადგენილების თავი 1, ქვეთავი 1103 მისაწვდომობის აუცილებლობის განსაზღვრა

ზ)გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

განსხვავებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით საპროექტო შენობების კედლებს, 602 ცხრილის მიხედვით, სხვადასხვა ცეცხლმედეგობის ხარისხი ეკუთვნის. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობებისადმი მოთხოვნები ცხრილებიდან 602-ის და 705.8-ის მიხედვით									
გარე კედელი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი(მეტრი)	ცეცხლმედეგობის ხარისხი(საათი)		კედლის ღიობების წარმოება (კედლის %)					
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	ღიობები			გათვალისწინებული		
				ღიობი	დაშვებული საშუალება	დაშვებული	ღიობი	დაშვებული საშუალება	დაშვებული
ა-ე დერძებში	7.58 და მეტი და 9.88-ზე ნაკლები	0	0	70%	შეუზღუდავი	შეუზღუდავი			აკმაყოფილებს
1-4 დერძებში	1.58 და მეტი და 3.88-ზე ნაკლები	1	1	10%	25%	25%			აკმაყოფილებს
ბ-ა დერძებში	7.58 და მეტი და 9.88-ზე ნაკლები	0	0	70%	შეუზღუდავი	შეუზღუდავი			აკმაყოფილებს
4-1 დერძებში	1.58 და მეტი და 3.88-ზე ნაკლები	1	1	10%	25%	25%			აკმაყოფილებს

- რაც შეეხება გარე კედლებში განთავსებული ღიობების ფართობებს, ის აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს;

თ)სახურავის ანაწყობების შეფასება:

შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი (მცირე ქანობით) გადახურვა, დამუშავებული ჰიდრო და თბოსაიზოლაციო ფენებით, გააჩნია წყალარინი ღარები და მილები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მას არ გააჩნია პარაპეტი. სახურავის, როგორც კონსტრუქციას ასევე მისი არაძირითად ნაწილებს შენობის კონსტრუქციის ტიპის (II-B) გათვალისწინებით ცეცხლმედეგობის ხარისხი 601 ცხრილის მიხედვით არ მოეთხოვება.

- საპროექტო შენობა აკმაყოფილებს 705.2 ცხრილის და 705.2.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების თავი 6, ქვეთავი 610 და თავი 7 , ქვეთავი 705.11 სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობის მიხედვით, ცეცხლმედეგობის ხარისხი გამმიჯნავებს შორის არ საჭიროებს. 508.4 ცხრილის თანახმად და შესაბამისად პროექტში არ არის წარმოდგენილი.

712.2 ქვეთავის თანახმად საკომუნიკაციო შახტებს (შვეულ ღიობებს) შემოზღუდვა არ ესაჭიროება და შესაბამისად არც პროექტშია განსაზღვრული.

1018.1 ქვეთავის მე-2 პუნქტის მიხედვით დერეფნები არ საჭიროებს ცეცხლმედეგობის ხარისხს. შესაბამისად არც პროექტში არის გათვალისწინებული.

- გამოყენებულია №41 დადგენილების თავი 5, ქვეთავი 508; ცხრილი 508.4 ; თავი 7 , ქვეთავი 712 და თავი 10 ქვეთავი 1009 და 1018.

ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია სწორად და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

კ)ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

მეცხრე თავის მიხედვით სც-3 ჯგუფის დაკავებულობისთვის საპროექტო შენობაში ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობისადმი მოთხოვნა გათვალისწინებულია 907.2.11 ქვეთავის შესაბამისად, რაც გულისხმობს: კვამლზე მორეგირე მაუწყებელის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობების განთავსებას საძინებელ ერთეულებში.

შენობაში გათვალისწინებულია:

- კვამლზე მორეგირე მაუწყებელი (საძინებელ ერთეულებში)

ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობების აუცილებლობა განსაზღვრულია სწორად და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

ლ)წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა მეტია ცხრილში მოთხოვნილი წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობაზე. შეესაბამება ცხრილი 1602.1-ის მინიმალურ მოთხოვნებს, სც-3-ის დაკავებულობებისათვის.

- გამოყენებულია №41 დადგენილების თავი 16, ქვეთავი 1602; ცხრილი 1602.1 წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობები განსაზღვრულია სწორად და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

დასკვნა

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესწავლისა და შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ.თბილისში, ივანე გვარამაძის N8-ის მიმდებარედ მდებარე საკადასტრო კოდი: (N 01.10.18.010.070) ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია **„ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“** საქართველოს მთავრობის **2016** წლის **28** იანვრის **№41** დადგენილების მოთხოვნებთან.

ექსპერტი: ნიკა კაპატაძე

Nika Kapatadze 01019071808
Digitally signed by Nika Kapatadze
Date: 2026.03.06 17:47:13

შ.პ.ს. "ბომა სტუდიო" საქართველო, ქ. თბილისი, სან-ზონა, ჯორჯუსი 18ბ , ბინა 45
ტელ. (+995 32) 261 07 76 მობ. +995 599 93 20 74 E-Mail kakhamachaidze@gmail.com

18 თებერვალი 2024 წ.

ც ნ ო ბ ა

ცნობა ეძლევა ნიჯა ჯაჯატაძეს პ.ნ 01019071808,მასზედ,რომ,იგი 2018 წლის სექტემბრიდან 2021 წლის ივლისამდე მუშაობდა შ.პ.ს "ბომა სტუდიო"-ში (ს.ჯ 405051900) არქიტექტორად.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შ.პ.ს "ბომა სტუდიო"

დირექტორი: დირექტორი:ჯ.მაჩაიძე

შ.პ.ს. "კონტექსტივ"
402121217

ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი,რობაქიძის **N**7(7/20) T: +995 598 744 655 29 ოქტომბერი 2024წ

ცნობა ეძლევა ნიკა კაპატაძეს პ.ნ 01019071808,მასზედ რომ, იგი 2020 წლის მაისიდან 2023 წლის სექტემბრამდე მუშაობდა შ.პ.ს "კონტექსტივ"-ში (ს.კ 402121217) არქიტექტორად.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შ.პ.ს "კონტექსტივ"

დირექტორი: ბ.მელაძე

Green Studio

შ.პ.ს. "გრინ სტუდიო"
405151927

ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის №64 ც ბლოკი ბ-1 T: +995 593 233 444

19 თებერვალი 2024წ.

ცნობა ეძლევა ნიკა კაპატაძეს პ.ნ 01019071808,მასზედ რომ, იგი 2021 წლის ივნისიდან დღემდე მუშაობს შ.პ.ს "გრინ სტუდიო"-ში (ს.კ 405151927) არქიტექტორად.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შ.პ.ს "გრინ სტუდიო"

დირექტორი: ს.სულხანიშვილი

Green Studio


ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2020 - 004

გადაეცემა

ნიკა კაპატაძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

ბაკალავრის დიპლომი
Bachelor's Diploma

BD № 011566

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის
2019 წლის 30 ივლისის № 73 გადაწყვეტილებით

ნიკა კაპატაძეს

მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

By the decision № 73 July 30, 2019 of the Faculty of Architecture, Urban Planning and Design

Mr. Nika Kapatadze

was awarded the Degree of Bachelor of Architecture

რეგისტრაციის № 11572
Registration

თბილისი 11 09 2019
Tbilisi რიცხვი/Day თვე/Month წელი/Year

დეკანი ნინო იმნაძე
Dean *Nino Imnadze*

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი
Rector *Archil Prangishvili*

Seal

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

მაგისტრის დიპლომი

Master's Diploma

MD № 005931

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის
2022 წლის 22 ივლისის № 5 გადაწყვეტილებით

ნიკა კაპატაძეს

მიენიჭა არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი
შენობა-ნაგებობათა არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სპეციალიზაციით

By the decision № 5 July 22, 2022 of the Faculty of
Architecture, Urban Planning and Design

Mr. Nika Kapatadze

was awarded the Degree of Master of Architecture
Specializing in Construction Architecture and Urban Planning

სარეგისტრაციო № 05927
Registration

თბილისი *Tbilisi* 16 რიცხვი/*Day* 02 თვე/*Month* 2023 წელი/*Year*

დეკანი *Dean* ნინო იმნაძე *Nino Imnadze*

რექტორი *Rector* დავით გურგენიძე *David Gurgenidze*

Seal